




№ 12 (1358) 0 3 5 0 ს 0 1971

საქართველო

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპ.

— რატომ იშუაფებს ამ ახალგაზრდას ასეთი შეხვედრა?
— თავის სიტოცხლში პირველად გადადის სწორად მუჩაზე.



ქლივის არ მივსურით, რის იყვამს ბავშვების მოვლა!

წიგნილი ფუაპიღან

შენ, ჩვენო კარგო ნიანგო, იმედო მთელი ფშავისავე, ნეტავ გაჩვენა ფშავით რა სილამაზით ჰყვავისა.

სიცოცხლე, წუთისოფელი ახლა გატკბილდა ჩვენშია, მანქანით დასეირნობენ ჩარგალში, კაწალხევიშია.

სადღა ძველი ცხოვრება, უგერგული და უხეში, ხინკლის ქვაბივით დამდგარა ტელევიზორი კუთხეში.

მაგნიტოლას და რადიოს ვილა ნატრულობს ჩვენშია, მიკროფონები უჭირავთ ჩიბუხებავით ხელშია.

ხშირადაც კაფიაობენ მხოლოდ ინგლისურ სიტყვითა, მზექალაც სარეცხსა რეცხავს მათეთრებელი სითხითა.

ანტენაც წამოჭიმულა წეროსებურად ყავარზე, საღამოს ვეპატეჟებით ფრთმანეთს ფინჯან ყავაზე.

ახლა მაცივარს არ იტყვი, სახლში ქათქათებს ბროლივით. მტვერსასრუტავი დამდგარა ოთახში ოჩან ჯორივით.

ეგ არის დენი არა გვაქვს, უქმად გვიცდება ყოველი, დღე და ღამ სოფელ ჩარგლიდან დენის ამოსვლას მოვილით.

და ისევ, კაწალხეველები გწვალობთ ჰვარტლიან ნავითია. ხმაც კი ვერ ამოგვილია იმ სოფელქეტროს ხათრითა.

მათან გაჭიმულ მაგთოლებს თავი მოუჩანთ სხეინიდან, შენ გაახსენე, ნიანგო, ეს თხოვნა კაწალხევიდან.



მისაღებ გაგოცდაგე

— ძმობილო! — მომესმა უკნიდან.
 მივიხედე. ვიწროშუბლიანი, ზორბა ახალგაზრდა დაფეთებული თვალებით შემომცქეროდა.
 — რა თემა აირჩიე? — მკითხა ჩურჩულით.
 — ერეკლე, — ჩურჩულითვე მივუხე მე.
 — ა?..
 — ერეკლე მეფე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.
 — მეც მაგას ვწერ, — შუბლი გაეხსნა მეზობელს.
 მხრები ავიჩეჩე და შემოვფერიადი. ცოგაოდენი ფიქრის შემდეგ წერას შევუდექი. პირველად ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ გავარჩიე და ის იყო სხვა ნაწარმოებზე უნდა გადავსულიყავი, რომ უკნიდან ისე მომქაჩეს, ნაწერი საზარლად წაიჩნაპნა. გაცოფებულმა მივიხედე, ვიწროშუბლიანი ახალგაზრდა გადმოსრილიყო და თვალებით ჭამდა ჩემს ნაწერს.
 — ერთი ეს მითხარი, — დაიწყო ბოლოს. — ბარათაშვილმა ეგ ლექსი ერეკლეს საფლავის ქვას დააწერა?
 — საგუნით ამოგვხა! — შევუღრინე ბრაზმორეულმა.

მეზობელმა იჭვინული თვალით შემომხედა. შემეშინდა მართლა არ დაწეროს ასეთი სისულელე-მეთქი და ვუთხარი:
 — ქვაზე კი არ დააწერა, საფლავის ნახვის შემდეგ ჩაესახა, ალბათ, ლექსის დაწერის იდეა.
 — მანდ რა ლაპარაკია? — გამოგვძახა გამოცდელმა. მის ხმაში მოქარა ისმოდა და მეც ჩემს საქმეს დავუბრუნდი.
 — მეგობარო! — მომესმა ცოცხალი ხნის შემდეგ და აბეზარი მეზობელი კვლავ გადმოიხარა ჩემსკენ. — რამდენი წლის იყო ერეკლე ჯაჭვის პერანგი რომ განია?
 — ეგ თქმულეა, — ავუსხენი ცალი ყბით.
 — მაინც რამდენის იქნებოდა?
 — თექვსმეგის, — ვიპოვე გამოსავალი.
 — რომ მოკლეს, მაშინ რამდენის იყო?
 — არ მოუკლავთ.
 — მაშ?..
 — მოსუცებულობით მოკვდა, — ვთქვი და შევამჩნიე, როგორ აღბეჭდა მეზობელმა ქაღალდზე „მეფე ერეკლე მოსუცებულობით მოკვდა“.
 — ინგილო ქალმა მეფეს თავ-


ზე რა დააყარა, ჭერამი თუ ქლიავი?
 — ქლიავი.
 — ერეკლემ ხომ არ დააჭერინა?
 — პირიქით, — დავიწყე მე და სიგყვა პირში გამეხირა: თავზე გამოცდელი წამომდგომოდა.
 — აილე შენი საწერ-კალამი და ავერ, იმ მერსზე გადაჯექი, — თავისუფალი მერხისკენ მიმითთა მან...
 ორი დღის შემდეგ, საგამოცდო რომ მივიღე, ვნახე ოთხიანი მეწერა. უცებ ვილაცამ ხელი მტაცა და საგამოცდოში უფიფრად ჩაიხედა. ნაცნობი ვიწროშუბლიანი ყმაწვილი იყო. გაფთრებით აკრატუნებდა კბილებს.
 — ჩემთვის ორიანი დაუწერიათ, — მითხრა როცა ჩემი ნიშანი წაიკითხა და უნივერსიტეტის შენობას ისეთი თვალით გადახედა, თითქოს ჩაყლაპავს უპირებსო.
 — ახლა რას აპირებ? — ვკითხე მორიდებით.
 მან ჯიბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო, გაშალა და ცხვირწინ ამოფრიალა.
 — განცხადება რექტორის სახელზე, ვასაჩივრებ!

შალვა შარაშიძე

3. კახელიშვილი



სულ — მასა დიდი კანი პარო? უფალებელად შემოვლი უმნთან.



სატირასა და იუმორს შევწირავ მთელ ჩემს სიფრთხილეს, ვწერდი და ყოველთვის დავწერ, ისე პონორარს ვინ მომცემს?

მხოლოდ ეს კია, წერის დროს, გამბედაობა მაკლია, ვფრთხილობ, ვის, როგორ მივუღებ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

ხულიგანი რომ სხვას ლანძღავს, სირცხვილით ვდნები, ვიღვები, პირადად მე თუ მაგინებს, მაშინ ხომ სულმთლად ვირევი.

ვერც მითქვამს, ვერც გამიკიცხავს უსაქმური და აყყია, ვინ იცის ვისი შვილია, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

მეფხოვე რომ ქუჩას გვის, მტვერში რომ გვახრობს „პიკის“ დროს, მე ვერ ვკისრულობ პროტესტს და, ვინც უნდა იმან იკისროს.

გავლანძლო ქუჩას რომ არ რწყავს, პატარა კაცი რაკია?! ვინ იცის, ვის, რა ზურგი აქვს, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

კინოში ხშირად დავდივარ, ზოგჯერ თეატრსაც ვიხსენებ, მდარე პიესას რომ ვნახავ, ჩემს ტყავში ველარ ვისვენებ.

ტაშს მაინც ვუკრავ, რას იზამ, სცენა ცხოვრების სარკეა, ვინ იცის „ვიზა“ ვინ მისცა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.


ფეხბურთზე ტაქსით მივდივარ, შინ ხალხს საკაცით მოვყავარ, წველს სულ დამადნო „დინამომ“, ზუსტად ცხრამეტი თყა ვარ.

ან ინფარქტს შევეწირები, ან მომკლავს გულის მანკია, სულ აღარ წავალ ფეხბურთზე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

დღეს თუ გაგებდე რამის თქმა, და თუ კალამიც გაეცვიოთ, ჩემს ნაკლზე ვილაპარაკე, გული არავის დავწყვიტე.

იქნება სხვასაც გაანდეს, სუსტი მხარე და ნაკლია, სხვებზე სხვამ ილაპარაკოს, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

გრ. ჩიქვილაძე



ვერტიკალურად

2. ის, რის დაკერებაშიც გაუსწრო თბილისმა ყველა ქალაქს.
3. რა არ აშენდება, დროზე ვინმე ზურაბივით თუ არ ჩავატანეთ.
4. შვიდი კაპიკი ღირს, მაგრამ ათ კაპიკს ვიხდით.
6. პირსაც წვავს და ჭიბებსაც.
7. ცხელი სახარული იარაღი (არის 127 და 220-ვოლტიანი).
9. ზაფხულობით ისე სუსტდება, ზედა სართულში ვერ ადის.
10. პირველი ქრთამის მიმცემი ძველ საქართველოში.
11. ძველი თბილისის უტყუარი ტრანსპორტი, რომელიც დადიოდა მარშრუტით — „წუნეთი-თბილისი“.
14. მწვერვალი რუსთაველის მოედანთან, სადაც კი არ აღიან, ჩადიან.
15. ყოველწლიურად რა პატარავდება და მწვანდება.
16. რა გამოიყენება აღმართის მოსახნავად.
18. კარგი საქონელი, რომელსაც ბევრი მაინც-დამაინც არ ეტანება.
19. ქართულად ვერ ავალაპარაკეთ. ძალიან უყვარს ხუმრობა.
22. ყოვანადი მოქმედების თერმობატომური ბომბი.
23. რა უჩენს თბილისელებს კიბოს, სტენოკარდიას, კრუნჩხვებს, დამბლას...
24. სპორტის რა სახეობაა განვითარებული ავტობუსის გაჩერებასთან.
25. ვინ წავიდა ოპერის სცენიდან პენსიაზე.
26. მაღალი ყველას უყვარს, დაბალი — არავის.
29. ადგილი, სადაც აღამიანი ჭკუადალაგებული შედის და გადარეული გამოდის.
33. დღევანდელი თბილისის ტრანსპორტი, რომელიც ურემზე ცოტა ჩქარა დადის.
35. მუღმივმოქმედი ვულკანი.
40. რა შეიძლება იყოს, აგრეთვე, ოჯახის შექმნის საფუძველი.
42. ქოლერასავით სწრაფად ვრცელდება და მოქმედებს აღამიანის სახეზე, თმაზე, სხეულზე, ტანსაცმელზეც კი.

ჰორიზონტალურად

1. ვიდრე მინდორში ამოვა, რუსთაველის პროსპექტზე ამოდის და მაშინვე ციცილი იკიდება.
3. სამშენებლო მასალა, ზოგს ყბაშიც არტყამენ.
5. H₂O ანუ...
8. ცხვარი რომ დაკლეს, რა წააკლეს.
12. ინგლისში დაიბადა, თბილისში ნათესავეები ჰყავს.
13. რისი ფასი ვერ დავადგინეთ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე.
17. ქართველი პოეტის ლექსი, რომელსაც ბოლო წლებში იმეორებენ ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრები.
20. რა გაქრა ზოგიერთი თანამედროვე პოეტის ლექსიდან.
21. ციციანთელასავით ანათებს. უფრო ძნელი დასაქერია.
26. ურომლისოდაც მთვრალი კაცი ქუჩაში ვერ გაივლის.
27. რა გრძელდება ზაფხულში.
28. რა მოკლდება ზაფხულში.
30. თავთან ერთად რა უტარიელდება კაცს სმის შემდეგ.
31. ჭუჭყი, რომლითაც ხელების დასვრა ყველას უყვარს.
32. ადგილი, სადაც ფული ისევ ძველი კურსით გადის.
34. ერთადერთი რამ მთელს დედამიწაზე, რისი სიყვარული და ხატრიც აქვთ ავტომძღოლებს.
36. შორისდებული, რომელიც ათჯერ მაინც წამოგცდებათ თბილისის ზღვისკენ მიმავალი ტრამვაის ვაგონში ასვლისას.
37. ავადმყოფობა, რომელიც ვრცელდება უვიარუსოდ. პირიდან გადადის.
38. ყველაზე თვინიერი ცოლი კაცობრიობის ისტორიაში.
39. აღამიანსაც აქვს, ტრამვაისაც, ქალის წინდასაც.
41. რა ნიშანი ეკუთვნის თბილისის ტრანსპორტის მუშაკებს.
43. თევზს აქვს, ჩვენს ფეხბურთელებს — არა.



— ქორწილი რომ გქონდა წინა კვირას, რატომ არ დაეკატიშე?
— სამაგიეროდ დღეს განქორწინების მაღარიხს ვიხდი და აუცილებლად მშვიდი!



— ეს საწყობი პირვინდად რომ გავისუფტავებია, რევიზიამ მაღლოგა რისთვის გადავიხადათ?
— ის რევიზია სანიტარული ინსპექციიდან იყო.



— რისთვის შუქუხეგულხართ?
— აჰი მითხარით თქვენი პოემა რომ დაიბეჭდოს მთრად მოსვლა საჭიროო.

გავერვიან კენსიიდან

ჩვენს დროში ბაბუობასა ადვილად იტყვის ენათ, დილით ჯერ რძეზე გავრბივარ და მერე პურისკენათ. შემდეგ დიდ ჩანთას მაძლევენ — გაუყე ბაზრისკენათ! ვის უნდა, მაგრამ ვინ უსმენს, უხერხულია წყენათ. ბაზრიდან მოსულს, დაქანცულს, სული ძლივს მიდგას პირშია. ანგარიშს როცა წარვადგენ, აზრი მერევა ტენიშია. რაში რამდენი მიეცი? რამ დაგავიწყა მაწონი? რას ფიქრობ, როცა ყასაბი ამდენ ძვლებს სულ შენ გაწონის. ნუთუ ბავშვისთვის ბაზარში ვედარ იშოვე უნაბი, ეს რა მსხალია, ხომ იცი, გიას რომ უყვარს გულაბი. — ერთი იწუნებს ძროხის ხორცს, მეორეს უყვარს ვარია. ხალხი არა ხართ, მითხარით, ეს ხალხი რამ გადარია?! ყველას თავისი აზრს აქვს, ყველა მოითხოვს თავისას, ჩემს გარდა კიდევ თუ არის კაცი მომთმენი ამისა. ვიყავ ოჯახის უფროსი, კაცი ნასწავლი, ნაკითხი, დამაქვეითეს, მომანდეს მომარაგების საკითხი. გულმავიწყობა დამჩემდა, ვვარდები გასაჭირშია, ვერ ვიმასსოვრებ სახელებს „მიღვა“ მერევა „მირშია“. რძალი, სიძე და შვილები ყველა მე შემომცქერია, ცოლიც კი, ერთ დროს ერთგული, ახლა გამიხდა მტერია. მოკლედ, დღე მაღვას ისეთი, სასტიკი, ჯერ არნახული, ვის უთქვამს, სად გავთნილა შვიდი ბატონის მსახური. სულ წადი-მოდის ძახილი, ბრძანება ყოველ მხრიდანა, პენსიაში ხომ გავედრ, გავდივარ პენსიიდანაც!

ქოსატყუილების შეჯიბრება

ამა წლის იმ რიცხვს, ქ. თბილისში, ერთ-ერთ მიყრუებულ უბანში, შედგა ქოსატყუილების პირველი საქალაქო შეკრება. შეკრების მუზანი იყო გამოველინებინათ ქ. თბილისში მცხოვრებ ქოსატყუილებს შორის № 1 ქოსატყუილა, ანუ ის, ვინც ყველაზე მაგარ ტყუილს იტყოდა. ქუთურის თავმჯდომარემ, სხვა ქალაქიდან საგანგებოდ მოწვეულმა ქოსატყუილამ, შეკრებილ ქოსატყუილებს მიულოცა ასეთი დიდი ღონისძიების ჩატარება და ახალ-ახალი წარმატებები უსურვა ჯანსაღი ტყუილების თქმაში და გავრცელებაში. შემდეგ კი უშუალოდ საქმეზე გადავიდა და ტყუილის სათქმელად პირველად დიღმის მასივის წარმომადგენელი გამოიძახა. დიღმელმა ჩალურჯებულ თვალზე თითი დაიდო და თითქმის ტირილით წარმოთქვა: — დიღმის მასივიდან, რადგან შეკრებაზე მაგვიანდებოდა, ტაქსით წამოვედი, აქამდე მრიცხველმა 1 მანეთი და 98 კაპიკი დაწერა. მე ტაქსის მძღოლს ორი მანეთი გავუწოდე და ორ კაპიკზე დარდიმანდულად უარი ვუთხარი. მძღოლმა ორკაპიკიანი გადმომიგდო და ერთი მოზრდილი ალიყურიც მაჭამა ამ სიტყვებით: — ვინ გგონივარ, ასეთ რამეს რომ მიბედავო?! ამ დროს ავლაბრის წარმომადგენელმა ველარ მოითმინა და ადგილიდან წამოიძახა: — უღლეურო, იმ მძღოლისათვის ისეთი რამე გიქნია, კიდევაც იოლად გადარჩენილხარო. მეორე სწორედ ავლაბრელი ქოსატყუილა გამოიძახეს. მან დამსწრეთ სიამაყით გადახედა და დაიწყო: — ამ ერთი თვის წინ საავადმყოფოში სხვისი გული გადამინერგეს. როგორც თქვენ თვითონ ხედავთ, ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე გასაკვირველი ის არის, რომ ქირურგმა ჩემგან კაპიკი ფული არ აიღო. ამ ტყუილზე ზოგიერთმა ქოსატყუილამ ერთმანეთს გადაულაპარაკა: — მაიმუნობა რა საჭიროა. ტყუილსაც აქვს თავისი საზღვარიო. ქუთურის წვერებმა შემდეგ საბურთალოს წარმომადგენელი გამოიძახეს. მან პირდაპირ, უცერემონიოთ დაიწყო: — ჩვენთან საბურთალოში, ყველა სახლში, ყველა ოჯახში, დროის ყველა მონაკვეთში, ონკანებიდან მოედინება ცივი გნებავთ თუ ცხელი წყალიო.

ამ სიტყვების თქმაზე ნავთლულელ ქოსატყუილას თვალებიდან ცრემლები წამოცვივდა და საბურთალოელის მიმართ წაიბურტყუნა: — ეს კაცი ნამდვილად პირველ ადგილს დაირტყამსო. ახლა მესამე მასივის ქოსატყუილა გამოიძახეს. მესამემასიველმა მოკლედ მოჭრა: — ჩვენი დასახლების თითქმის ყველა მაღაზიაში, გუშინ ემალირებული ნაწარმი: ქვაბები, ვარცლები და სხვა ჭურჭლეული თავისუფლად იყიდებოდა, არავითარი რიგი არ იყო. ჯერ სათქმელი დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ რამდენიმე ქოსატყუილა ადგილიდან წამოხტა და მესამემასიველს შეეკითხნენ: — დღესაც ხომ არ იყიდებო? მან ნიშნის მოგებით მიუგო: — არაფერი შეგეშალოთო, და თავისი ადგილისაკენ გამარჯვებულის ნაბიჯით წავიდა. შემდეგ შეჯიბრებაზე ვაკის წარმომადგენელი გამოიძახეს. იგი ტრიბუნასთან ბარბაცით მივიდა. ეტყობოდა ნაბახუსევი იყო. როცა ამის შესახებ შენიშვნა მისცეს, მან თავი ასე იმართლა: — გუშინ ჩემმა მეზობელმა, პროფესორმა დიდებულძემ დამაბატოა. მას მეტორმეტე ბავშვი შეეძინა და გვარიანი ძეობა გადაიხადა. ჰოო-და, გათენებამდე ვურტყით წყვილ-წყვილი ჭიქები. — ამოისლუქუნა ვაკელმა. — ეეეეე, მაგრად დაუსტვინა აი, — თქვა ვაკელის მისამართით ორთაჭალელმა, — თორემ ჯერ ქართველს ვინ მისცა თორმეტი შვილი და მერე ისიც პროფესორს?! თავმჯდომარემ ორთაჭალელი ქოსატყუილა გამოიძახა. ორთაჭალელმა უღვაშებზე ხელი გადაისვა და დინჯად დაიწყო: — რაც ხნის კაცი ვარ, ასეთი რამე არ მინახავს, მთელი ორთაჭალის გასტრონომები სავსეა ძვირფასი თევზეულით: ზუთხითა და ლოქითი, მოთალითა და დოშით... ამით ქოსატყუილების პირველი საქალაქო ტური დამთავრდა. ყველას გასაკვირად ქუთურმა პირველი პრიზი ამ სტრიქონების ავტორს მიანიჭა, რადგან ყოველი ზემოთ თქმული მართალი კია, მაგრამ მოგონილია.

(ნაწილები)

ლიბადმოვდებული ლუარსაბი დარეჯანის შეკვივლებამ გამოაღვიძა.

— ლუარსაბ, დავილუბე, მგონი მუცელში ბავშვმა გაიფაჩუნა.

თვალეზდაჭყეტელ ლუარსაბს ჯერ ისევ სიზმარში ეგონა თავი, მერე უცბად ყველაფერს მიხვდა და საზარლად დაიღრიალა.

— როგორ თუ გაიფაჩუნა?!.. ხომ არ ვადაირიე, დედაკაცო?


— მე რა ვქნა, არც მე მინდოდა, მაგრამ მოხდა ასე, — იმართლა თავი გაოგნებულმა დარეჯანმა.

— როგორ თუ რა უნდა ჰქნა?! ახლავე წადი გინეკოლოგთან და მოიცილე ეგ ძალღის ნაშიე-ერი, — უთხრა ესა და ამ ოპერაციის ჩასატარებლად ოცდახუთმანეთიანი გადაუგდო. შემდეგ ბოლთის ცემა დაიწყო ხუთოთახიან კეთილმოწყობილ ბინაში, ისე რომ ამ საკითხზე ლაპარაკი არ შეუწყვეტია: — ჰმ, ბავშვმა გაიფაჩუნა.

ბავშვი კი არა, ზაქი არ გინდა?! ეგლა გვაკლია დავითისა და ელისაბედის დასაცინები გავხდეთ. იმათ რომ ერთი ბავშვი ჰყავთ, ჩვენ ვითომ რითი ვართ იმათზე ნაკლებები? ხომ მაშინვე ხიხოები დავგიძახებ?... ეგვეტ რომ არ იყოს, ვინდა იჩენს ახლა ჩვენში ორ ბავშვს, რომ ჩვენ გავაჩინოთ? არა, არა, დედაკაცო! ახლავე წადი და მოიცილე-მეთქი! — გადაწყვეტით ჩაიბურტყუნა ლუარსაბმა და თავის საღისერტაციო შრომას მიუჯდა.

ხოლო როცა ნასადილევს, ფერწასული და წელათრეული დარეჯანი ოთახში შემოლასლასდა, ლუარსაბი ყველაფერს მიხვდა და დარეჯანს თავისებურად მიუაღერსა: — აი, ეგრე, შენი სულისა, რაღა, შენ გენაცვალოს შენი ფაშფაშა ლუარსაბი, ჩემო სულის წიწმათო და გულის ტარხუნავ!

ტ. მ.



— ასე შენ თვითონ გამოსხვადი სახლიდან, შვილო, თუ გამოგაგდეს?


წერასაგანილი

ოცდახუთი წლის კაცმა, ყოველდღე დედას სიგარეტის ფული თხოვოს, აბა, რა სახარბიელო საქმეა, ჰოდა, მეც გადავწყვიტე სამუშაო სწრაფად მეშოვნა.

ტრესტის მმართველი:

— კი, ბატონო, ექსპედიტორი გვჭირდება, ჯამაგირიც კარგია, ასე რომ, ჩვენთან უკმაყოფილო არ დარჩებით. ისე, დღემდე სად მუშაობდით?

— პროფტექნიკურ სასწავლებელში პედაგოგად... ხანდისხან ცოტასაც ვწერ. მაგალითად: მოთხრობებს, ფელეტონებს და ასე შემდეგ.



— ა! თქვენ წერთ? კარგია, კარგი. — გამიღიმა მმართველმა და სავარძლიდან წამოდგა. — მაპატიეთ, მაგრამ ახლა მეჩქარება, წასასვლელი ვარ... ერთ კვირაში შემოიარეთ, ნახვამდის.

ქარხნის დირექტორი: — გისმენთ.

— პატივცემულო, სამსახურის შესახებ გაწუხებთ. საქმე იმაშია, რომ თქვენს ქარხანაში მუშაობის დაწყება გადავწყვიტე.

— მერე და, ბევრს ფიქრობდით სანამ გადაწყვეტიდით?

— არც ისე, პატივცემულო, თქვენი ქარხანა ხომ განთქმულია.

— ო, ყოჩად. ხელობას ალბათ მალე შეისწავლით.

— ბოდიში, პატივცემულო დირექტორო, მაგრამ მე მსურდა, რომ რომელიმე განყოფილებაში მემუშავა ან ინსპექტორად, ან ექსპედიტორად. საქმე იმაშია, რომ მე ვწერ ხან ფელეტონებს, ხან მოთხრობებს. ამიტომ ფიზიკურ გადაღლას, ცოტა არ იყოს, ვერიდები.

— ოჰო, ყოჩად ყმაწვილო, ესე იგი თქვენ წერთ. კარგით, გამოიარეთ სამი დღის შემდეგ.

კომბინატის დირექტორი:

— სამუშაო? როგორ არა გვაქვს. ისე ანგარიში თუ გეხერხებათ?

— როგორ არა, სკოლაში სულ ხუთები მყავდა მათემატიკაში.

— „ხოროშო“. ბუღალტერის თანაშემწე იქნებით. გაწყობთ?

— კი, ბატონო.

— აქამდე სად მოღვაწეობდით?

— აქამდე?... არსად, ბატონო. სულ ქუჩაში ვეკვდე. ხანდისხან კარტსა და ბილიარდს თუ ვითამაშებდი. გოგონებსაც ვეარშიყებოდი...

— „ხოროშო“, შემოიარეთ სამშაბათს. იმ სამშაბათს, როგორც იქნა, სამუშაოზე მოგეწყვე. ორი კვირის შემდეგ დირექტორმა გამომიძახა.

— ბიჭო, ვილაც შენს სეხნიასა და მოგვარეს „ნიანგში“ ფელეტონი გამოუქვეყნებია. წაიკითხე?

— კი, ბატონო. ეგ ფელეტონი ჩემი დაწერილია.


ერთი კვირის შემდეგ სამსახურიდან დათხოვნის ბრძანების ამონაწერი გადმომიცეს.

— ახლა წერე და იკითხე რამდენიც გინდოდეს.

მერაბ ნიშარაძე



— რომელი ნომერი ღვინო მოგატრიათ? — გადლოგა ღვინოს, ჩემი ზომის ღვინო მინც რომ იშოვნება!



— რას შვრები, კაცო? — იმღენი „სპორტები“ გავუკეთე, რომ მე თვითონ ვერ გავაღე.



— შვილო, წელიწადში ერთხელ მაინც არ უნდა ჩამოხვიდე სოფელში და არ უნდა მოგვინახულო?
 — სიზმარში რომ გნახულებთ, ის არაფერია?



— ერთი გაფუჭებული რადიოვიდეოვი მქონდა მანქანაში და ისიც მოუპარიათ.
 — იძნება გასაკეთებლად წაიღეს, შე კასო!

ლაბორატორიაში ტელეფონი აწკრილდა. ნახაზეში თავჩარგული ქერათმიანი წამოდგა, ყურმილი აიღო და სმენად იქცა.

— სირბილაძე!

— სირბილაძე ვარ!

— დღის ბოლოს — ოქმი! — იყო ბრძანება. სირბილაძემ ყურმილი დადო, თავისი მაგიდისკენ გაემართა და, „რა დროს ოქმია“, — აბუზღუნდა ხასიათწამსდარი, „ათ წუთში მუშაობა მთავრდება, რა ვჩქარებათ, ნეტა“. — შემდეგ სიგარეტს მოუკიდა, კუთხეში მიჯდა, სუფთა ქაღალდი გაამზადა და... სხვა გზა არ იყო, ბრძანების შესრულებას შეუდგა...

— ოქმი... — განაგრძო ბუზღუნი, — ვინ დადის კრებაზე, ვინ ჩაეწერო?

— ჩაწერე ვინც გინდა, — ურჩივს მგზობელი მაგიდიდან, — ვინ კითხულობს...

სირბილაძემ სიგარეტი ჩააქრო, ავტოკალამი დაბერტყა, კრებას ესწრებოდნენ — დიდი ასობით გამოიყვანა, ორი წერტილი დაუსვა და დიდოსტატივით ჩაფიქრდა...

— იაშინი, შესტერნიოვი, ისტომინი... — გაისმა ზურგს უკან.

— მიდი, მიდი, ჩაწერე! — წააქეზეს ერთხმად.

სირბილაძემ ერთ ხანს იყოყმანა, მერე ხელი ჩაიქნია, ავტოკალამი მოიმარჯვა და... ლოგჩევი, კისელიოვი, — მიუმატა ჩამოთვლილს. — მუნტიანი, ფედოტოვი...

— კოპეიკინი, შეგჩენკო, — შეახსენეს გვერდიდან.

— საკმარისია, — მოჭრა სირბილაძემ, — ახლა კამათი. კამათში ვინ გამოვიყვანო?

— ვერუჟინი, შმუცი! — წამოიძახა სათვალთან.

— კარგია!

— აზრი ვინ გამოთქვა?

— კაპლიჩინი.

ვინ თქვა სასწაული არ ხდებათ, — მეორე დღეს სამსახურში მისვლისთანავე მიახარეს, უფროსი უფროსმა უჯრა გამოაღო, ოქმი მაგიდაზე დადო და ფერწასულ სირბილაძეს გამომცდელად მიაჩერდა.

— რა არის ეს?

სირბილაძეს სუნთქვა შეეკრა.

— რა არის-მეთქი? თქვენ გეკითხებით!

— მაპატიეთ, — წამოიკნავლა ნირწანხდარმა, — შევცდი...

— ასეთ შეცდომას არავის ვაპატიებ! — იყვირა უფროსმა.



„გათავდა, მომხსნის“, — გაიფიქრა სირბილაძემ.

— დამხედეთ ვაჟბატონს, არ აუგდია თავი?!

— მე, მევე... — ენა დაება სირბილაძეს.

უფროსი წამოდგა, ფანჯარა გამოაღო, სირბილაძეს მრისხანედ გადახედა და... იაშინი, შესტერნიოვი, — გამოაჯაფრა განრისხებულმა, — სად არიან, ბიჭო, ჩვენი ბიჭები: ძოძუაშვილი, სურცილავა, ასათიანი, მეტრეველი, ნოდია. ესაა პატრიოტიზმი? რა არის ნაკრები ამათ გარეშე...

გივი ჩხაიძე

არაიზოლირებულბინიანი პოეტის განცხადება

ლექს უნდა ვწერდე ახლა და განცხადებას ვწერ მეხედ, პოეტ კაცს აწი ცხოვრება არ შემოიძლია მე ასე. როცა სიჩუმე მჭირდება, მეზობელს უნდა სიმღერა... და ბაზბით ვიცობ ყურებსა, იმ ბებლეწს ხმა აქვს იმხელა, რა ვქნა ვერაფერს ვუბედავ, მარტო ღონე აქვს მაგ გლახას, მე კი არა და, მგონია, კასიუს კლეის გალახავს. ღვინით გამსკლარი, ცოლ-შვილთან ჭიდაობს სამბოს, ძიუღოს, დილაამდე უნდა ვიჯდე და მათ კონცერტს ყური მივუგდო. თავში რომ მუწა მომივა და გული ლექსებს მკარნახობს, ჩემი მეზობლის ოთახში ცეკვავენ „დავლოუს“, „შალახოს“. განგებ, ორივე მეზობელს, მუღამ ღია აქვთ კარები და, როგორც ვერა წიგნაძე, ცერებზე დავიარები. მავიწროებენ თვითონ და მე მეძახიან „აფრესორს“, ლექსს რომ ჩურჩულით ვკითხულობ, ჩემზე ამბობენ: „აფრენსო!“ სკამიც რომ გავარახუნო, ატყდება ერთი განგაში, დილაამდე ჩავარდნილი ვარ სამი მეზობლის ალყაში. ჩემთან თუ სტუმრად მოვიდა ნაცნობი მანდილოსანი,

ჰორავენ: „რატომ დადისო? არ არის პათიოსანი!“ ჩემსას დაყრუვდა გარმონი, პიანინო და გიტარა, ასეთი ბინა, ნამდვილად, ვინდ მქონია და ვინდ — არა! ვენერვიულობ და ბოლთას ვცემ, დავალ კარიდან კარამდის, მითხარით: მართლა აქ ვცხოვრობ, თუ ჭერ გავდივარ კარანტინს? ვწერ დღეში თხუთმეტ საჩივარს და ჩემთვის ჩუმაღ ვბუტბუტებ, სახლში თუ გვიან მივდი, მთელ ღამეს გარეთ ვყურყურებ. მე ჩემი ჭირი გითხარით, განცხადებასაც ვამთავრებ, თუ მომცემთ ბინას საკუთარს, ლექსს დაწერ, ყველას გადავრეც!


რ ა ზ ო ლ უ ტ ი ა :

პოეტობაზე თავს რომ სდებ, მაშ რაღა ეთქმის სხვა მგლახანს? ლექსებს წერ, თორემ, შენც ერთი, არ წერდე „ვეფხისტყაოსანს“. ჭერ შეთხზე კარგი ლექსები (ეს იყოს შენი ნუგეში), და ბინა, თანაც მულმივი, გექნება ხალხის გულეზში!

მანო ცინცაძე

ვერტიკალურად

- 2. ასფალტი
- 3. სტადიონი
- 4. ხინჯალი
- 6. ნიორი
- 7. უთო
- 9. წყალი
- 10. რწყელი
- 11. ვირი
- 14. ყაზბეგი
- 15. მანდარინი
- 16. ძალა
- 18. ნამუსი
- 19. დებეშა
- 22. სიღვრე
- 23. ტელეფონი
- 24. ჭილაობა
- 25. აბესალომი
- 26. ხელფასი
- 29. ბაზარი
- 33. ტრამვაი
- 35. ცოლი
- 40. სიყვარული
- 42. მოლა
- ზბა



ნიანგის ინფორმაციები

ჩაპარღნენ... არა ჭკუაში

(ვარკეთილის დასახლება) კოღანაშვილი ვიქტორ და ვორობიოვი ვასილი თუმც არ იცნობდნენ ერთმანეთს, ერთი ზნით იყვნენ ავსილი. ჭირივით სძულდათ ალერსი, რომ ეკადრება შეუღლებს და ცოლებს ისე ცოფავდნენ, ძალი რომ კატას შეუღრენს. იმ დღეს, თითქოს და ერთმანეთს ამღვდნენ ბანს და მოძახილს, მათ ერთდროულად დრიალით აიკლეს ორი ოჯახი. ცემეს და ტყუბეს ცოლები, ჰკადრეს სიტყვები უშვერი... ბოლოს კი ხალხმა უშველათ, ღმერთი იმათაც უშველის! მთვრალეებს თუმც წყალი ასხურებს, დარჩენენ ბნელში და ბურანში, ციხეში ორჯერ ჩავარდნენ, მაგრამ არც ერთხელ — ჭკუაში.


ღვინოს სკამს...

(ჭიჭინაძის ქ. 21-ბ).

ივანუშკას ასული ანანკოვა მარია ძუ ლომივით ხელია,

კორიგონტა-ლურად

- 1. ია
- 3. ხილა
- 5. ღვინო
- 8. ქათამი
- 12. ხულიგანი
- 13. ნაყინი
- 17. ვაპ დრონი,
- დრონი
- 20. აზრი
- 21. ტაქსი
- 26. ხე
- 27. ღღე
- 28. კაბა
- 30. ჭიბე
- 31. ფული
- 32. რესტორანი
- 34. ინსპექცია
- 36. აპი
- 37. კოორი
- 38. ევა
- 39. თვალი
- 41. ორი.
- 43. ფხა



ნახ. ზ. კუციანი

— წალი, ჩაუსაფრდი და სანამ არ „გამოიპირ“ ინსტიტუტის რექტორს, სახლში ფეხი არ შემოაღებ!!!


როცა ღვინით მთვრალია. ამასწინათ ზომაზე „ცოტა მეტი“ დალია. წამოიწყო გინება — „შუალამის არაა“. ტკბილად მიძინებული ეწო არივ-დარია. მერე ერთ-ერთ მეზობელს ხელი ცუდად დარია... წააბრძანეს... დარჩენა თუმც ეწადა ძალიან. ოდეს ღვინოს რომ სვამდა, დღეს ღვინო სვამს... მარიას.

პასუხები

ხუთწლედის ქუჩის №28 სახლში მცხოვრებმა მ. ა. არჩვაძემ დანით დაჭრა მოქალაქე კუსრაშვილი, 1-ნაღიკერის 7-ში მცხოვრებმა ქ. ს. ჯოაგვა—გულხაური, დიღუბის მე-5 შესახვევის 2-ში მცხოვრებმა ე. ა. სურაგამ—ბარათაშვილი, ა. წერეთლის პრ. 12-ში მცხოვრებმა ა. ა. კვიციანიშვილმა — კულუმბეგოვი და ფიროსმანის 21-ში მცხოვრებმა თ. გ. დრობიჩევმა — ბიჭიაშვილი. მათ აღმზრდელებს „ეუძღვინი“ ამ „შედევრს“.

ხუთი წლის ბიჭმა შეიპყრო კნუტი, (იმ ბიჭს სახელად ეძახდნენ ღვთისოს) იმდენი სცემა წიხლით და მუშტით, სანამ არ მოკლა საბრალო ფისო. ღვთისოს მშობლებმა შემოჰკრეს ტაში: — ძალგულოვანი გვეზრდება ვაჟი თხუთმეტი წლისამ მეზობლის ბიჭი, თანაკლასელი რომ იყო მისი, დასცა, წიხლები დაუშვა მიჯრით და კბილებიდან ადინა სისხლი. ღვთისოს მშობლებმა შემოჰკრეს ტაში: — შერკულესია ეს ჩვენი ვაჟი! ოცი წლის ღვთისომ — უცნობი კაცი, რომ მიდიოდა ქუჩაში მშვიდად, გაჩერა და გააწნა ყბაში, „თავურით“ შუბლი გაუპო შვიდად. ვედარ შემოჰკრეს მშობლებმა ტაში: გათოკეს მათი „ლომგული“ ვაჟი. კანონმა ღვთისო ვერა ცნო კაცად, მასში პირუტყვი იხილა მარტო. „შერკულეს“, „ღვეგვირს“, „რაინდს“ და „ვაუკაცს“ საკნის კარები გაუღო ფართოდ...

გაიძღვრა შავიკაშვილი



კვირით, ხელეწიფი რას მიყურებთ, გითხარით ფეხი მტკიანა-მეტი!



მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:
 ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. მაღალაშვილი,
 გ. ნიშნაძე (მთავ. რედ. მოადგილე),
 ნ. შველიძე,
 ო. ზვილიძე.

სატირისა და იუმორის უმრავლესი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი, პროსპექტი № 42.
 Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Ниянги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.
 საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-ლოგა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად 24/V-71 წ.
 ხელმოწერილია დასა-ბეჭდად 23/VI-71 წ.
 ძალაღმდის ზომა 70x108 1/8.
 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4.
 საბ. კვ ცვ-ის გამომცემ-ლოგის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ГБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИ-НА № 14

შპს № 1989
 უმ № 02075.
 ტირაჟი 132.200.



ვაშინგტონის ადმინისტრაცია პარიზის საუბრებს თელის არა ვიეტნამის პრობლემის სამართლიანად მოწესრიგების საშუალებად, არამედ — დიპლომატიურ შირმად, რის საშუალებითაც ის ცდილობს დაფაროს თავისი ექსპანსიური გეგმები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

(გაზეთებიდან) **ინტერნაციონალი**
ბიულეტენი

ИНТЕР 76137



ნახ. ბ. ლომიკიძის

ქორი ფარუხანაშვილის კუდი.

КОНТРОЛЬНЫЕ
АКЦИОНАРИ